ანოტაცია

მანქანური სწავლება მსოფლიოს იპყრობს. თანამედროვე ტექნოლოგიებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხელოვნური ინტელექტის თემას. მისი დანახვა შესაძლებელია საკმაოდ ბევრ დადებით ასპექტში და ერთ - ერთი არის მარკეტინგი.

მე ეს თემა განვახორციელე პორტალში, რომელსაც გამოიყენებს საერსტორნო ქსელი მომხმარებლების მოსაზიდად და სწორი და ჯანსაღი მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად თუ რა სურთ მომხმარებლებს.

თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი მოტივაცია, სამუშაო თემის არჩევისას, არ ყოფილა მხოლოდ ის, რომ შემესწავლა და შემექმნა მანქანური ინტელექტის ერთერთი ფორმა, არამედ მსურდა პროექტი, რომელზეც ვიმუშავებდი გარდა იმისა, რომ იქნებოდა ტექნოლოგიურად სუფთად დაწერილი, ასევე იქნებოდა ახალი სიტყვა ქართულ და არა მარტო ქართულ ბაზარზე.

შედეგად მივიღე სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს: არის სუფთა, მოქნილი, მართვადი და ამავდროულად ჭკვიანი. მარკეტინგული კუთხით კი მეტი კმაყოფილი მომხმარებელი უდრის მეტ შემოსავალს.